



საქმე №1/ზ-256-13

13 ნოემბერი, 2013 წელი  
ქ. თბილისი

**გ ა ნ ა ჩ ე ნ ი**  
**საქართველოს სახელით**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ  
შემდეგი შემადგენლობით:  
თავმჯდომარე: შორენა ყაველაშვილი  
მოსამართლეები: კახაბერ მაჭავარიანი  
გერონტი კახეთელიძე

თამთა სირაძის მდივნობით,

სახელმწიფო ბრალმდებლის: ზ. მ.-ს

მსჯავრდებულის: დ. ნ.-ს

ადვოკატის: ვ. ნ.-ს

**მონაწილეობით,**

ღია სასამართლო სხდომაზე, ქვემო ქართლის პროკურატურის განყოფილების პროკურორის ზ. მ.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა მსჯავრდებულ დ. ნ.-ს (დაბადებული XXXX წლის XX დეკემბერს, (პირადი №XXXXXXXX), საქართველოს მოქალაქე, ნასამართლობის არმქონე, საშუალო განათლებით, დასაოჯახებელი, რეგისტრირებული გ.-ს რაიონი, სოფელი გ., ამჟამად პატიმრობაში მყოფი) მიმართ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 160-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ – ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

წინასწარ გამოძიების მიერ დ. ნ.-ს ბრალად წარდგენილი ჰქონდა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა ჯგუფურად, ბინაში უკანონოდ შეღწევით, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 17 დეკემბერს, დაახლოებით 00:30 საათზე, დ. ნ. ლ. მ.-სთან ერთად, დანებით შეიარაღებულნი, ყაჩაღურად თავს დაესხნენ მ.-ში, X-ს N X საცხოვრებელ სახლში მყოფ



ა.-ს და ფ.-ს. ლ. მ.-მ ა. ა.-ს დანით მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, ხოლო დ. ნ.-მ კი ხელით ცემა ფ. ა.

### რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის განაჩენით:

დ. ნ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებიდან, გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 160-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე.

დ. ნ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4(ოთხი) წლის და 4(ოთხი) თვის ვადით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, ჩამოერთვა დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 2(ორი) წლის ვადით.

დ. ნ.-ს 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3(სამი) წლის და 3(სამი) თვის ვადით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, ჩამოერთვა დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 1(ერთი) წლის და 6(ექვსი) თვის ვადით.

დ. ნ.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2013 წლის 26 აპრილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქვემო ქართლის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ზ. მ.-მ.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტი ითხოვს ცვლილების შეტანას რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის განაჩენში, დ. ნ.-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქვემო ქართლის პროკურატურის განყოფილების პროკურორის ზ. მ.-ს სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკამყოფილდეს და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:



სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი და მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა მხარეთა მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად. მსჯავრდებულ დ. ნ.-ს დანაშაულებრივ ქმედებას მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ:

საქმის არსებითი განხილვისას მოწმის სახით დაკითხულ დაზარალებულ ფ. ა.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2007 წლის 17 დეკემბერს, გვიან ღამით, ის და მისი ქალიშვილი ა. ა. სახლში მარტო იმყოფებოდნენ და ეძინათ. ჭიშკრის ზარის ხმაზე გაელვითათ გავიდნენ გარეთ, არავინ დახვდათ და სახლში შებრუნდნენ. ისევ აპირებდნენ დაძინებას, რა დროსაც ფანჯრიდან ა. ა.-მ დაინახა ორი ბიჭი. მათ ეგონათ, რომ მისმა რძალმა იმშობიარა და ეს პირები აღნიშნულის სათქმელად იყვნენ მისულები, რის გამოც კარი გაუღეს. კარის გაღებისთანავე დ. ნ., რომელსაც ჰქონდა წვერი, ეხურა შავი ქუდი და ხელში ეკავა დანა, შევიდა სახლში და წავიდა ა. ა.-ს მიმართულებით, რა დროსაც ფ. ა.-მ შეაჩერა, ხელი აუქნია, რის შედეგადაც მას გაეჭრა მარჯვენა ხელის შუა თითი. დ. ნ.-მ კი მას მუშტი დაარტყა, რის გამოც ფ. ა.-მ გონება დაკარგა. როდესაც გონზე მოვიდა, დაინახა, რომ მის შვილს, ა. ა.-ს სისხლი სდიოდა. როგორც მან შემდგომ გაიგო, იგი დ. ნ.-ს თანმხლებ პირს ლ. მ.-ს დაუჭრია გულ-მკერდის არეში. ფ. ა. გონზე მოსვლის შემდეგ, დაედევნა დ. ნ.-ს და ლ. მ.-ს და დაინახა, როგორ გავიდნენ ბაღიდან. შემდეგ თვითონ წავიდა დახმარების სათხოვნელად შვილთან ი. ა.-სთან და იგი მის საცხოვრებელ სახლში დახვდა გარდაცვლილი.

დაზარალებულმა ფ. ა.-მ საქმის არსებითი განხილვისას განაცხადა, რომ თავდასხმელების მხრიდან მათ მიმართ რაიმე მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია, ქართულად ლაპარაკობდნენ და მისი აზრით იგინებოდნენ, საიდანაც მიხვდა რომ ქართველები იყვნენ.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა ა. ა.-მ განმარტა, რომ 2007 წლის 17 დეკემბერს, გვიან ღამით, დაახლოებით 02:00 საათისთვის, ის და დედამისი ფ. ა. მარტო იმყოფებოდნენ სახლში და ეძინათ, რა დროსაც ჭიშკარზე ზარის ხმა გაისმა. კარის გასაღებად დედამისი გაემართა. ა. ა.-მ ფანჯრიდან დაინახა ორი ბიჭი, რომლებსაც კარი გაუღეს. დ. ნ., რომელიც ხელში დანას ათამაშებდა, პირველი შევიდა ოთახში და პირდაპირ ა. ა.-ს მიმართულებით წავიდა, რა დროსაც ფ. ა. გადაუდგა, რომელსაც დ. ნ.-მ გულის არეში მუშტი დაარტყა. ა. ა. ყვირილით გარეთ გაიქცა და დასახმარებლად მეზობლებს უხმობდა. მეორე პიროვნებას ფიზიკური ძალის გამოყენებით უნდოდა მისი სახლში შეყვანა, მაგრამ ა. ა. რკინის გისოსებს იყო ჩაჭიდებული და ვერ მოახერხა. ა. ა.-მ დაინახა, თუ როგორ წავიდა ეს ორი პიროვნება



მათი სახლიდან და ეზოდან, რომელთაგან დაბალი კოჭლობდა. დედამისმა შენიშნა, რომ სისხლი მოსიოდა, რა დროსაც თვითონაც შენიშნა, რომ ყველაფერი სისხლიანი ჰქონდა. მიხვდა, რომ დანით ჰქონდა ჭრილობა მიყენებული, ცუდად გახდა და გონება დაკარგა. სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად იგი გამოჯანმრთელდა. როცა საავადმყოფოში გონზე მოვიდა შეიტყო, რომ მისი ძმა - ი. ა. გარდაცვლილი იყო. დაზარალებულმა ა. ა.-მ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ არ იცოდა თუ ვინ ან რისთვის გააკეთა ყოველივე, რადგან არც ფული და არც ოქროულობა არ ჰქონდა. მან ქართული ენა არ იცის, მათი საუბარი არ გაუგია, რადგან დედამისს რომ დაარტყეს გარეთ გავარდა და ყვირილი დაიწყო.

სასამართლო პროცესზე დაკითხულ მოწმე ლ. მ.-ს ჩვენებით ირკვევა, რომ იგი ი. ა.-ს დის და დედის სახლში წავიდა, ვინაიდან ი. ა.-მ, სანამ მოკლავდა უთხრა, რომ ვალს ვერ დაუბრუნებდა, რადგან ფული არ ჰქონდა. ფული კი მის დას და დედას ჰქონდა, რომლებიც ი.-ს ფულს არ მისცემდნენ. ლ. მ. მივიდა, რათა ი.-ს დისთვის და დედისთვის მოეთხოვა ვალის დაბრუნება. დ. ნ.-ს არ სურდა და ლ. მ.-ც ეუბნებოდა თავი დაენებებინა, რამდენჯერმე მოაბრუნა კიდეც. მიუხედავად აღნიშნულისა, ლ. მ.-მ დარეკა ზარი ჭიშკარზე და ვინაიდან კარი არავინ გაუღო, ეზოში ღობის შემოვლით შევიდნენ და სახლის კარზე დააკაკუნა. ამ დროს მასთან ერთად იყო დ. ნ. კარი ა. ა.-მ გააღო და კვილი დაიწყო. ლ. მ.-ს სურდა მასთან დალაპარაკება, მაგრამ ვინაიდან ქალი არ ჩერდებოდა, თვითონაც ნასვამ მდგომარეობაში იყო, ა. ა.-ს დანა დაარტყა, რის შემდეგაც ა. ა. უგონოდ დაეცა. დ.-მ ლ. მ.-ს ხელი მოჰკიდა და წაიყვანა. ლ. მ.-მ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ა. და ფ. ა.-ებთან „საყაჩაღოდ“ არ მისულა, „მით უფრო ამხანაგთან ერთად“. ასეთი განზრახვა, რომ ჰქონოდა რამეს წამოიღებდა, მითუმეტეს იმ დროს, როდესაც არც ხელის შემშლელი გარემოება არსებობდა, რადგან ა. ა. უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო სახლის კარი იყო ღია. დ. ნ. კი არ იცნობდა ა. და ფ. ა.-ებს და არც არაფრის წაღება არ სურდა, პირიქით ლ. მ.-ს აჩერებდა.

სასამართლოს განაჩენი ასევე ემყარება სისხლის საქმეში არსებულ ერთმანეთთან შეთანხმებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლებიც მხარეებს სადაოდ არ გაუხდიათ: მოწმეების გ. გ.-ს, გ. ა.-ს, ლ. ი.-ს ჩვენებებს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას NXX/X ა. ა.-ს სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას NXX ი. ა.-ს გვამის გამოკვლევასთან დაკავშირებით, ტრასოლოგიური ექსპერტიზის NXXX/ტრ და NXXX/ტრ დასკვნებს, ბიოლოგიური ექსპერტიზის NXXX და NXXX დასკვნებს, ა. და ფ. ა.-ების ტანსაცმელსა და ზეწარს.

ასევე, 2007 წლის 17 დეკემბრის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, რომლითაც დგინდება, რომ შემთხვევის ადგილი მდებარეობს ქ. მ.-ში, X-ს ქ. N X-ში, ხოლო 2007 წლის 17 დეკემბრის შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერების ოქმებით დასტურდება, რომ შემთხვევის ადგილი, სადაც მოხდა ი. ა.-ს მკვლელობა, მდებარეობს ქ. მ.-ში, X-ს ქ. N X-ში.



პალატა აღნიშნავს, რომ აპელანტი /პროკურორი/ რეალურად სადავოდ მიიჩნევს არა გასაჩივრებული განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ აპელანტის აზრით დ. ნ.-მ ჩაიდინა არა საქართველოს სსკ-ის 160-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ, ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, რომელმაც დაარღვია ბინისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა, ჩადენილი ჯგუფურად, ძალადობით, ცივი იარაღის გამოყენებით, არამედ ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით.

სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დ. ნ.-ს ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის თანახმად ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

პალატა აქვე განმარტავს, რომ ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისთვის მნიშვნელობა არ აქვს თავდამსხმელმა შეძლო თუ არა სხვისი ქონების დაუფლება, ყაჩაღობა დასრულებული ქმედებაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით თავდასხმის მომენტიდან, თუ მას თან ახლავს სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი და მოთხოვნა ნივთის გადაცემის შესახებ. თუ კი თავდასხმა ხორციელდება სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის გარეშე არ შეიძლება ქმედებას მიენიჭოს ყაჩაღობის კვალიფიკაცია.

სააპელაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დ. ნ.-სა და ლ. მ.-ს მხრიდან ადგილი არ ჰქონია დაზარალებულების მიმართ რაიმე ნივთის გადაცემის მოთხოვნას, რაც დასტურდება თვით დაზარალებულების ჩვენებით. როგორც ფ. ა.-მ განმარტა თავდასხმელების მხრიდან მათ მიმართ ადგილი არ ჰქონია ნივთის გადაცემის მოთხოვნას. თავდამსხმელები ქართულად ლაპარაკობდნენ და მისი აზრით იგინებოდნენ, საიდანაც მიხვდა რომ ქართველები იყვნენ. ხოლო მოწმე ა. ა.-მ განმარტა, რომ არ იცის თუ რატომ დაესხნენ თავს, ვინაიდან არც ფული და არც ოქროულობა არ ჰქონდა. სხვისი ქონების დაუფლების მიზნით თავდასხმა არ დასტურდება მოწმე ლ. მ.-ს ჩვენებითაც, მან სასამართლო პროცესზე განმარტა, რომ მას სურდა დაზარალებულებთან მხოლოდ ი. ა.-ს ვალზე დალაპარაკება და რადგან დაიწყეს ყვირილი და თვითონაც იყო ნასვამი, ა. ა.-ს დაარტყა დანა.

პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს, როდესაც რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 მარტის განაჩენი ლ. მ.-ს მიმართ არ მიიჩნია პრეიუდიციად, ვინაიდან აღნიშნული განაჩენით დადგენილმა ფაქტობრივმა გარემოებებმა



დადასტურება ვერ ჰპოვა **დ. ნ.-ს** მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველმა ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა **დ. ნ.-ს** ქმედებას. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა, რომ **დ. ნ.** დაზარალებულებს თავს დაესხა მათი ქონების დაუფლების მიზნით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ“. ამავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი“.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი უნდა გადაწყვიტოს ბრალდებულის სასარგებლოდ, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის და საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის მესამე ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა. შესაბამისად პროკურორის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის **ზ. მ.-ს** სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;



2. უცვლელად დარჩეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის განაჩენი;
3. **დ. ნ.** ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სს კოდექსის 160-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4(ოთხი) წლის და 4(ოთხი) თვის ვადით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, ჩამოერთვას დანიშნითი თანამდებობის დაკავების უფლება სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 2(ორი) წლის ვადით.
4. **დ. ნ.-ს** 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ერთი მეოთხედით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3(სამი) წლის და 3(სამი) თვის ვადით. მასვე ჩამოერთვას დანიშნითი თანამდებობის დაკავების უფლება სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 1(ერთი) წლის და 6(ექვსი) თვის ვადით.
5. მსჯავრდებულ **დ. ნ.-ს** სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2013 წლის 26 აპრილიდან.
6. განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;
7. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32ა) მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

სხდომის თავმჯდომარე:

/შ. ყაველაშვილი/

მოსამართლეები:

/კ. მაჭავარიანი/

/გ. კახეთელიძე /

